

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა
საქართველოს მთავრობასა და
ბელორუსიის რესპუბლიკის მთავრობას შორის
საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს მთავრობა და ბელორუსიის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში «მონაწილე მხარეებად» წოდებულნი, სურთ რა ხელი შეუწყონ ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო თანამშრომლობას საავტომობილო მიმოსვლის სფეროში და გრანზიტის მათი ტერიტორიების გავლით,

ურთიერთქმედების პრინციპებიდან და ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმების დებულებები გამოიყენება საქართველოსა და ბელორუსიის რესპუბლიკას შორის მგზავრებისა და გვირთების საავტომობილო გრანსპორტით ორმხრივი და მათი ტერიტორიების გრანზიტით გავლისას, აგრეთვე მესამე ქვეყნებიდან/ში გადაზიდვებისას.

მუხლი 2

შეთანხმებაში გამოყენებულ განსაზღვრებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

«გადაზიდვა» – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე და აქვს უფლება განახორციელოს საერთაშორისო სამგზავრო ან საგვირთო გადაზიდვები ამ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

«საგრანსპორტო საშუალება» :

ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული გვირთის გადასაზიდად განკუთვნილი ავტოსაგრანსპორტო საშუალება ან კომბინირებული საგრანსპორტო საშუალება, რომელიც აღჭურვილია შესაბამისად და გამოიყენება მხოლოდ გვირთების გადასაზიდად.

ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მგზავრთა გადაყვანისათვის განკუთვნილი სამგზავრო ავტოსაგრანსპორტო საშუალება (ავტობუსი), რომელიც თავისი აგებულებითა და მოწყობილობით, გამოიყენება ცხრაზე მეტი პირის გადასაყვანად მძღოლის ჩათვლით.

«ნებართვა» – დოკუმენტი, რომელიც აძლევს უფლებას ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საგრანსპორტო საშუალებას შევიდეს

მეორე მხარის ტერიტორიაზე, დატოვოს ან იმოძრაოს ტრანზიტით ამ ტერიტორიის გავლით.

«ტრანზიტი» – გვირთის გადაზიდვა (დატვირთვის და გადმოტვირთვის გარეშე) და მგზავრების გადაყვანა (ჩასხდომისა და გადმოსხდომის გარეშე) ერთი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული გადაზიდვის მიერ, მეორე მხარის ტერიტორიის გავლით მესამე ქვეყანაში ან მესამე ქვეყნიდან.

«კვოტა» – ნებართვების რაოდენობა, რომელიც აძლევს უფლებას გადაზიდველს განახორციელოს ორმხრივი საავტომობილო გადაზიდვები საქართველოსა და ბელორუსიის რესპუბლიკას შორის, ტრანზიტით მათი ტერიტორიების გავლით, აგრეთვე მესამე ქვეყნებიდან/ში გადაზიდვები.

«კაბოტაჟი» – ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გვირთის გადაზიდვას და მგზავრების გადაყვანას, მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე განლაგებულ პუნქტებს შორის.

«სპეციალური ნებართვა» – ერთჯერადი დოკუმენტი, რომელიც აძლევს უფლებას ერთი ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებას შევიდეს ან იმოძრაოს ტრანზიტით მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მთლიანი წონა, გაზარიგები, ღერძზე მოსული დატვირთვა აღემატება ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დადგენილ ნორმებს.

კომპეტენტური ორგანოები:

საქართველოდან – ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია;

ბელორუსიის რესპუბლიკიდან - ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო.

ნაწილი I. მგზავრთა გადაყვანა

მუხლი 3

წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება ყველა სახის სამგზავრო გადაყვანისათვის, რომელიც ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალების (ავტობუსების) მეშვეობით მხარეთა ქვეყნებს შორის და ტრანზიტით მათი ტერიტორიების გავლით.

მუხლი 4

წინამდებარე ნაწილში გამოყენებულ განსაზღვრებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

1. **"რეგულარული გადაყვანები"** – გადაყვანები, რომლებიც ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული განრიგით, წინასწარ დამტკიცებული ტარიფებით, განსაზღვრული მარშრუტით დადგენილი გასაჩერებელი ადგილებით.

რეგულარული გადაზიდვების განხორციელების პირობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეთა კომპეტენტურ ორგანოთა შორის შეთანხმების საფუძველზე.

2. **«არარეგულარული» (ჩარტერული, ტურისტული) გადაყვანები** :

ა) "მგზავრობა დახურული კარით" – გადაყვანა, როდესაც ერთი და იგივე შემადგენლობის მგზავრობა ჯგუფი მთელი მგზავრობის განმავლობაში გადაიყვანება ერთი და იგივე ავტოსაგრანსპორტო საშუალებით და ბრუნდება იმ ქვეყანაში, სადაც ეს ავტოსაგრანსპორტო საშუალება არის რეგისტრირებული.

ბ) გადაყვანები, რომლის დროსაც ავტოსაგრანსპორტო საშუალება ახორციელებს მგზავრობას დანიშნულების პუნქტამდე მგზავრებით და უკან ბრუნდება ცარიელი.

გ) გადაყვანები, რომლის დროსაც ავტოსაგრანსპორტო საშუალება ახორციელებს მგზავრობას დანიშნულების პუნქტამდე ცარიელი და უკან ბრუნდება მგზავრებით, იმ პირობით, რომ მგზავრები აღრე გადაყვანილი იყო ამავე გადაზიდველის მიერ.

დ) გადაყვანები, რომლებიც არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ანუ სხვა სახის გადაყვანები.

მუხლი 5

წინამდებარე შეთანხმების მე - 4 მუხლის მე -2 პუნქტის ა, ბ, გ, ქვეპუნქტებში ნახსენები არარეგულარული გადაზიდვები არ საჭიროებს ნებართვას. ისინი ხორციელდება საკონტროლო დოკუმენტის (ფორმულარის) საფუძველზე.

საკონტროლო დოკუმენტი (ფორმულარი) უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

გადაზიდვის სახეობა;

მარშრუტი;

გადაზიდველი (გადაზიდველები);

შევსებული მგზავრობა სრული სია;

ავტოსაგრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი.

3. წინამდებარე შეთანხმების მე -4 მუხლის მე-2 დ ქვეპუნქტში მითითებული არარეგულარული გადაზიდვები შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ნებართვების საფუძველზე, რომელსაც გასცემს მეორე ქვეყნის კომპეტენტური ორგანო. აღნიშნული ნებართვების რაოდენობა, ფორმა და შინაარსი განისაზღვრება წინამდებარე შეთანხმების 22 მუხლში მითითებული ერთობლივი კომისიის მიერ.

მუხლი 6

მგზავრთა არარეგულარული საგრანზიგო გადაყვანები, რომლებიც ხორციელდება ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიის გავლით რეგისტრირებული ავტოსაგრანსპორტო საშუალების მეშვეობით მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე არ საჭიროებს ნებართვას.

მუხლი 7

რეგულარული გადაყვანები ხორციელდება ნებართვების საფუძველზე, რომელთაც გასცემს იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანო რომლის ტერიტორიაზეც გადის მარშრუტი.

რეგულარული გადაყვანების ნებართვები გაიცემა სამ წლამდე ვადით და შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისი მოთხოვნის თანახმად.

ნებართვა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

გადაზიდვის სახეობა;

გადაზიდველის დასახელება;

მარშრუტი გამგზავრების, დანიშნულებისა და შუალედური

გაჩერებების მითითებით;

ნებართვის მოქმედების ვადა.

4.ნებართვის დანართი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, გადამზიდველის, მარშრუტის (რომელიც აგრეთვე რუქაზეა ნაჩვენები), განრიგის, ტარიფების, გადაზიდვების სიხშირესა და შუალედური გაჩერებების პუნქტების შესახებ, სადაც ხორციელდება მგზავრთა ჩასხდომა და გადმოსხდომა, აგრეთვე ინფორმაციას ავტობუსების შესახებ, რომლებიც მოემსახურებიან მარშრუტს.

5.ერთი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო უგზავნის სარეკომენდაციო წერილს მეორე ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესამამისად. თანხმობის შემთხვევაში მეორე ქვეყნის კომპეტენტური ორგანო გასცემს ნებართვას მარშრუტის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადის მისი ქვეყნის ტერიტორიაზე.

6.ნებართვა და დანართები უნდა იქნას ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული მათი გამცემი კომპეტენტური ორგანოს ბეჭდით.

ნებართვების გაცვლის პირობები განისაზღვრება მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

დაზიანებული ავტობუსის შეცვლა სხვა ავტობუსით ნებართვას არ საჭიროებს.

მუხლი 8

მგზავრთა რეგულარული გადაყვანისათვის, რომელიც ხორციელდება ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიის გავლით (გრანზიგო), მეორე ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსაგრანსპორტო საშუალებით

საჭიროა ნებართვა. ნებართვა გაცემული უნდა იქნეს იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება რეგულარული გადაყვანა, მეორე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს განაცხადის საფუძველზე.

2. მგზავრთა რეგულარული გადაყვანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცვლილი იქნება შესაბამისი ნებართვები ყველა აუცილებელ დანართებთან ერთად.

3. ორგანო, რომელმაც გასცა ნებართვა რეგულარული სამგზავრო გადაყვანების განსახორციელებლად, უფლებამოსილია შეაჩეროს იგი, იმ შემთხვევაში თუ გადამზიდველი არ ასრულებს მოთხოვნებს რომლის საფუძველზეც გაიცა ნებართვა, რის თაობაზეც უნდა ეცნობოს მეორე ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს.

მუხლი 9

მგზავრთა გადაყვანის სხვადასხვა სახის მომსახურებებს შორის, მხარეთა გადამზიდველები სასაზღვრო გადასასვლელებზე მხოლოდ რეგულარული მომსახურებისას თავისუფლებიან გზების შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ გადასახადებისა და ანაკრებებისაგან, გარდა ფასიანი გზების გადასახადისა.

ნაწილი II . გვირთის გადაზიდვა

მუხლი 10

ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ გადამზიდველს უფლება აქვს განახორციელოს საერთაშორისო საავტომობილო საგვირთო გადაზიდვები, მხარეთა ტერიტორიებს შორის, გრანზიტით მათი ტერიტორიების გავლით, აგრეთვე მესამე ქვეყანაში/დან ნებართვის საფუძველზე, რომელიც გაიცემა მეორე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ.

ნებართვა მოქმედია დაგვირთული ან ცარიელი ავტოსაგრანსპორტო საშუალების გადაადგილებისათვის ორივე მიმართულებით.

ყოველწლიურად მხარეთა კომპეტენტური ორგანოები და წინამდებარე შეთანხმების 22 მუხლში მოხსენიებული ერთობლივი კომისია განსაზღვრავენ ნებართვების რაოდენობას (კვოტა), რომელიც აძლევს უფლებას მხარეთა გადამზიდველებს, განახორციელონ გვირთის საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები.

მუხლი 11

მხარეთა კომპეტენციური ორგანოები ან წინამდებარე შეთანხმების 22 მუხლში მოხსენიებული ერთობლივი კომისია ათანხმებენ ნებართვების ბლანკების ფორმასა და მათი გაცვლის პროცედურას.

მუხლი 12

წინამდებარე შეთანხმების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ორივე მხარის კომპეტენციური ორგანოები ყოველწლიურად გაცვლიან ნებართვების შეთანხმებულ რაოდენობას მომავალი კალენდარული წლის დაწყებამდე ორი თვით ადრე.

მუხლი 13

წინამდებარე შეთანხმების მე-10 მუხლის დებულებებში მითითებული ნებართვები არ ესაჭიროება გადაზიდვების შემდეგ სახეობებს:

გვირთის გადაზიდვა ავტოსაგრანსპორტო საშუალებით, რომელთა მაქსიმალური საერთო წონა მისაბმელის ჩათვლით არ აღემატება 6 ტონას ან მაქსიმალური გვირთამწეობა მისაბმელის გვირთამწეობის ჩათვლით არ აღემატება 3,5 ტონას.

გვირთის გადაზიდვისას სამოქალაქო აეროპორტიდან სხვა აეროპორტში თვითმფრინავის ავარიის ან ნებისმიერი უბედური შემთხვევის გამო, კურსის ცვლილების ან საგანგებო მდგომარეობის გამო თვითმფრინავის იძულებითი დაეშვებისას, რეისების გაუქმების შემთხვევაში;

დაზიანებული საგრანსპორტო საშუალების გადაზიდვისას;

მიცვალებულთა გადასაგანად;

ფოსტის გადაზიდვისას;

ბაზრობებისა და გამოფენების გვირთის გადაზიდვისას;

თეატრალური, მუსიკალური და სხვა კულტურული ღონისძიებების, საცირკო წარმოდგენების, ფილმების ჩვენების, რადიო და სატელევიზიო გადაცემებისათვის განკუთვნილი დეკორაციებისა და სხვა გვირთების გადაზიდვისას;

სტიქიური მოვლენების დროს გამოწვეული უბედურებების შემთხვევაში, დაზარალების სახით მედიკამენტების და სხვა ნებისმიერი მასალების გადაზიდვისას;

აგრეთვე არ მოეთხოვება ნებართვა შემდეგი სახის მგზავრობებს:

სპეციალური ავტოსაგრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც მიემგზავრებიან გექნიკური დაზარალების გასაწევად;

ცარიელ ავტოსაგრანსპორტო საშუალებებს, დაზიანებული ავტოსაგრანსპორტო საშუალებების ნაცვლად გვირთების გადაზიდვების განსახორციელებლად;

ავგოსაგრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც განკუთვნილია მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი დაზიანებული ავგოსაგრანსპორტო საშუალებების შესაცვლელად.

მძღოლს უნდა გააჩნდეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ მის მიერ განხორციელებული გადაზიდვა წარმოადგენს მემოთჩამოთვლილი გადაზიდვის ერთ-ერთ სახეობას.

ნაწილი III. ზოგადი დებულებები

მუხლი 14

ერთ-ერთი მხარის გადამზიდველები, რომლებიც ახორციელებენ გადაზიდვებს წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, განთავისუფლებულნი არიან საბაჟო გადასახადებისაგან მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე შეგანილი:

ძრავასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებული ქარხანა-დამამზადებლის მიერ დამზადებულ ყველა სახის ავგოსაგრანსპორტო საშუალებების სტანდარტული ზომის ავტომობილი მყოფი საწვავის რაოდენობაზე, ქვეყანაში მოქმედი შიდაკანონმდებლობით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში;

რეისის განმავლობაში ავგოსაგრანსპორტო საშუალების მართვისათვის საკმარისი საპოხი საშუალებების რაოდენობაზე;

შეგანილ სათადარიგო ნაწილებზე იმ დაზიანებული ავგოსაგრანსპორტო საშუალებების შესაკეთებლად, რომლებიც ახორციელებდნენ საერთაშორისო გადაზიდვებს.

გამოუყენებელი სათადარიგო ნაწილები ექვემდებარებიან უკან გაგანას.

2. გადამზიდველები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გვირთის გადაზიდვის დროს პარიტეტული პირობების გათვალისწინებით შეთანხმებული კვოტის ფარგლებში ნებართვების საფუძველზე თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია გზების შენახვასა და გამოყენებაზე, გარდა ფასიანი გზებისა, ხიდებისა და გვირაბებისა.

მუხლი 15

1. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავგოსაგრანსპორტო საშუალების გაბარიტების, ღერძზე დაგვირთვისა და საერთო წონასთან მიმართებაში არ გამოიყენონ უფრო შემზღუდველი პირობები, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში რეგისტრირებული ავგოსაგრანსპორტო საშუალებების მიმართ.

2. იმ შემთხვევაში თუ ავგოსაგრანსპორტო საშუალების გაბარიტები, საერთო წონა ან ღერძზე დაგვირთვა, გვირთით ან გვირთის

გარეშე აღემატება მეორე ქვეყანაში დადგენილ ნორმებს, საჭიროა სპეციალური ნებართვა, რომელსაც გასცემს ამ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო.

3. საშიში გვირთების გადაზიდვა ხორციელდება მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემს იმ ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო, რომლის ტერიტორიაზეც გადის მარშრუტი.

4. ცხოველებისა და მალეფუჭებადი გვირთების გადაზიდვების დროს სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარული კონტროლი განხორციელდება რიგგარეშე.

მუხლი 16

1. მგზავრთა გადაყვანები და გვირთის გადაზიდვები უნდა ხორციელდებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ავგოსაგრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დამღვევის პირობით.

2. ავგოსაგრანსპორტო საშუალებას, რომელიც ასრულებს საერთაშორისო გადაზიდვებს უნდა გააჩნდეს თავისი ქვეყნის სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშანები.

3. მისაბმელებს და ნახევარმისაბმელებს შეიძლება გააჩნდეს სხვა ქვეყნის სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები იმ პირობით, რომ საცვირთო ავგომობილი ან გამწე ავგომობილი რეგისტრირებულია საქართველოში ან ბელორუსიის რესპუბლიკაში.

მუხლი 17

მგზავრთა გადაყვანისას და გვირთის გადაზიდვისას კაბოგაჟი აკრძალულია.

მუხლი 18

ყველა საჭირო დოკუმენტები, როგორცაა ნებართვა, საკონტროლო დოკუმენტი (ფორმულარი), სხვა ნებართვები, ისევე როგორც დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეებიც არიან მხარეები, მხარეთა კანონმდებლობის თანახმად უნდა ინახებოდეს ავგოსაგრანსპორტო საშუალებაში და მძღოლის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს მაკონტროლებელი ორგანოს მოთხოვნისთანავე.

ნებართვა გაიცემა გადაზიდვებზე და იგი არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს.

მუხლი 19

1. იმ შემთხვევაში თუ გადამზიდველი, რომელიც რეგისტრირებულია ერთ ქვეყანაში, იმყოფება მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე და დაარღვევს ამ ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას ან წინამდებარე შეთანხმების დებულებებს იმ ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ, რომლის ტერიტორიაზეც დაარღვევას ჰქონდა ადგილი, უნდა აცნობოს მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც მიიღებს ზომებს გათვალისწინებულს თავისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა კომპეტენტური ორგანოები აცნობებენ ერთმანეთს გატარებული ზომების შესახებ.

2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე შეთანხმებით, აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეებიც არიან ორივე მხარეთა სახელმწიფოები, გადაწყვეტილი იქნება თითოეული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20

წინამდებარე შეთანხმება არ ეხება სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა მონაწილეებიც არიან მხარეები.

მუხლი 21

მხარეთა კომპეტენტური ორგანოები განახორციელებენ კონგრულს წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესრულებაზე და იღებენ ვალდებულებას საჭირო ინფორმაციის გაცვლაზე მხარეთა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 22

მხარეთა კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებისაგან იქმნება ერთობლივი კომისია, რათა გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მგზავრებისა და გვირთების საავტომობილო გადაზიდვებთან, აგრეთვე იმ პრობლემების დასარეგულირებლად, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას წინამდებარე შეთანხმების განხორციელებისას.

წელიწადში ერთხელ ან ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით, ერთობლივი კომისია მართავს სხდომებს მონაცვლეობით, მხარეთა ტერიტორიებზე. თითოეული სხდომა სრულდება ოქმის გაფორმებით, რომელიც ხელმოწერილი იქნება მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ.

